## ხელშეკრულება №7/13
## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ახალციხე

03 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ახალციხის N5 -საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ინგა ვარდიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავერსი-ფარმა“, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე ბურძენიძის სახით (მინდობილობის სარეგისტრაციო ნომერი: #160706792, ინდივიდუალური #15790663683016) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა ფარმაცევტული პროდუქციის (CPV:33600000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 101,27(ას ერთი ლარი და 27 თეთრი)ლარს.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი სახის გადასახადის ჩათვლით.

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ სასაქონლო ზედნადებით, მიღება-ჩაბარების აქტით ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მიმწოდებლის მისამართზე (ქ. ახალციხე, სულხან საბას ქ.#1 (შპს „ავერსი–ფარმას“ აფთიაქი). საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

## მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

## მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდაწ გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ანელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

### მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გადახდაზე.

### მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

### მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - ქალაქ ახალციხის №5 საჯარო სკოლა<br>ს/კ 224073151<br>მის: ქ. ახალციხე, ფარნავაზ მეფის 6<br>ტელ: 221175<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE84LB0121174034750000<br><br>დირექტორი: ი. ვარდიძე<br>(ხელმოწერა) | შპს „ავერსი-ფარმა"<br>ს/კ211386695<br>მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 148<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE06BG0000000122932100<br><br>კომერციული დირექტორი: ე. ზურძენიძე<br>(ხელმოწერა) ბ.ა |

დანართი #1

2016 წლის 03 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეთანოლი სამედიცინო 200მლ | ცალი | 6 | 2,25 | 13,5 |
| 2 | ეთანოლი სამედიცინო 200მლ | ცალი | 2 | 23,25 | 4,5 |
| 3 | ვალოსედი 25 მლ(ნეოფ) | ცალი | 1 | 15 | 1,5 |
| 4 | ვალოსრდი25მლ ფლ(ნეოფ) | ცალი | 5 | 1,5 | 7,5 |
| 5 | ვალერიანის ნაყინი 30 მლ ფლ | ცალი | 9 | 0,85 | 7,65 |
| 6 | იოდის სპირტხსნარი 5%10მლ | ცალი | 3 | 0,49 | 1,47 |
| 7 | კბილის წვეთები 25 მლ ფლ | ცალი | 2 | 2 | 4 |
| 8 | ნევროსტიმი წვეთები 50მლ ფლ | ცალი | 5 | 2,7 | 13.5 |
| 9 | პიტნის ნაყენი 25 მლ ფლ | ცალი | 4 | 0,6 | 2,4 |
| 10 | პიტნის ნაყენი 25 მლ ფლ | ცალი | 1 | 0,65 | 0,65 |
| 11 | ფიტოსედი 25 მლ ფლ | ცალი | 4 | 1,2 | 4,8 |
| 12 | ფურაცილინის ხსნარი 0,02% 100მლ | ცალი | 4 | 0,5 | 2 |
| 13 | ფურაცილინის ხსნარი 0,02% 100მლ | ცალი | 4 | 0,5 | 2 |
| 14 | წყალბადის ზეჟანგი 3% 50მლ ფლ | ცალი | 8 | 0,4 | 3,2 |
| 15 | ბინტი 7მ*14სმ არასტერილური | ცალი | 8 | 0,9 | 7,2 |
| 16 | ბინტი 7მ*14 სმ სტერილური | ცალი | 8 | 0,8 | 6,4 |
| 17 | ლეიკოპლასტი 2.5*500სმაზრეშმედ | ცალი | 6 | 2,5 | 15 |
| 18 | ბამბა 50 გ (იმპ) | ცალი | 8 | [illegible] | 4 |
| | სულ ღირებულება | | | | 101,27 |

სსიპ - ქალაქ ახალციხის N5 საჯარო სკოლის დირექტორი: /ი. ვარდიძე/

შ.პ.ს „ავერსი-ფარმას" კომერციული დირექტორი: /ე. ბურძენიძე/

მიღება -ჩაბარების აქტი

,,5''ოქტომბერი 2016 წ. ქალაქი ახალციხე

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხის N5 საჯარო სკოლის დირექტორი ი. ვარდიძე შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,ავერსი-ფარმა". ფ. მათოშვილი წარმომადგენელი შემდგომში ,,მომწოდებელი" , ვადგენთ ამ აქტს იმის შესახებ, რომ ,,მიმწოდებელმა" ,,შემსყიდველს" გაუწია 2016 წლის 3 ოქტომბერს, ხელშეკრულება N7/13-ით გათვალისწინებული მომსახურეობა: დანართი,ს/ზედნადები Nელ-0265661060, ღირებულების ჯამია 101,27 ლარი.

მხარეთა ხელმოწერები:

,,შემსყიდველი"
ახალციხის N5 საჯარო სკოლა
ზ. კაჭკაჭაშვილი ----------

,,მიმწოდებელი"
შ.პ.ს ,,ავერსი-ფარმა"
ფ. მათოშვილი ----------

აქტის სინამდვილეს ვადასტურებ სკოლის დირექტორი: /ი. ვარდიძე/